საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის
დირექტორი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 79
05/05/2022

79-2-4-202205052356

"პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2022-2023 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსის“ (კონკურსი N2/10) ფარგლებში პროექტის „მუშა“ დაფინანსების თაობაზე

,,ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის, “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/257 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, "პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2022-2023 წლის წარმოების დაფინანსების მიზნით კონკურსის (N2/10) გამოცხადების თაობაზე" სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 04 ნოემბრის N201 ბრძანებით, სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 14 თებერვლის N25 ბრძანებით დამტკიცებული "პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2022-2023 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი N2/10) შემოტანილ პროექტთა შეფასების წესის" მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2022-2023 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსის საექსპერტო კომისიის 2022 წლის 21 აპრილის N1 დასკვნის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დაფინანსდეს პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2022-2023 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსში (კონკურსი N2/10) მონაწილე პროექტი „მუშა“ - (პროდიუსერი - შპს FILM ASYLUM (ს.კ. 404977352), რეჟისორი - გიორგი ქობალია) – 550 267.01 (ხუთას ორმოცდაათი ათას ორას სამოცდაშვიდი ლარი და ერთი თეთრი) ლარით.

2. დაფინანსებაზე უარი ეთქვას პროექტს „ტვირთი“ (პროდიუსერი - შპს „ჯემინი“ (ს.კ. 204499300), რეჟისორი - ანა იოსავა).

3. ბრძანების პირველ პუნქტში განსაზღვრული პროდიუსერისთვის თანხის გამოყოფა, წარმოებაში ჩაშვების მიზნით, განხორციელდეს პროდიუსერის მიერ ,,ეროვნული ფილმის დებულების“ მე-4 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ.

4. ბრძანება ძალაში ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი N64).

კარლო (კახა) სიხარულიძე

დირექტორი